

ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა	არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი
	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
	იურიდიული მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №53ა
	პროგრამის განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №53ა
	ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი)	info@sangu.edu.ge ; 225 82 40; 225 82 45; 225 82 43
	ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	რექტორი, სერგო ვარდოსანიძე. ტელ.: 599 57 51 90; 225 81 49; e-mail.:sergovar@yahoo.com
	საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	ბერია ზურაბ, 577315594, zurabberia@gmail.com

ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ინგლისური ენა)
	პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება	ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია; მათემატიკა; ქიმია; ფიზიკა; ბიოლოგია; ინგლისური ენა
	ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი)	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №10, 14.02.2017 წ.
	პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა	30
	სწავლების ენა პროგრამის მიხედვით	ქართული
	პროგრამის მოცულობა კრედიტებში	60 ECTS
	მიზანი და სწავლის შედეგი *	იხ. დანართი

ინფორმაცია მოდულის შესახებ

№	პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით	ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით	სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით	დასაფინანსებელი პირთა რაოდენობა	ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ		
					უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა	აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები
1	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2150	5	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	გასაუბრება	
2	მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2150	3	მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	გასაუბრება	
3	ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2150	3	ისტორია	გასაუბრება	
4	ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	3	ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	გასაუბრება	

5	ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	3	ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	გასაუბრება	
6	ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	3	ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	გასაუბრება	
7	ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	10	2250	10	ინგლისური ენა(დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	გასაუბრება	
8							
9							
10							
11							
12							
13							
14							
15							

* მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს დანართის სახით

ბეჭედი



[Handwritten signature in blue ink]

ხელმოწერა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მასწავლებელი, რომელიც აცნობიერებს თითოეული მოსწავლის უნიკალობას და შესაბამისად, იყენებს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის სტრატეგიებს: საკუთარი საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე აუმჯობესებს მოსწავლეთა მიღწევებს, შეუძლია საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფა და თანამშრომლობა კოლეგებთან, პრობლემების ერთობლივად გადაჭრისა და პროფესიული განვითარებისათვის. ამ მიზნით, უნივერსიტეტის ამოცანაა, მოიზიდოს ნიჭიერი და მოტივირებული პირები საგანმანათლებლო პროგრამაზე, გააცნოს და შეასწავლოს მათ სწავლების თანამედროვე მეთოდები, და ტექნოლოგიები, მოსწავლეზე ორიენტირებული და კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული განხორციელების გზები, და უზრუნველყოს მათთვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავება, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შექმნის გზით.

სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები: საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

გაცნობიერებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები; იცნობს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებს და სტრუქტურას; იცის მასწავლებლის პროფესიაში შესვლის საფეხურების მოთხოვნები და პროცედურები;

აქვს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და შეუძლია აღნიშნული თეორიების კრიტიკული გაცნობიერება;

იცის ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები;

იცის როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი;

იცის როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი გარემო.

იცის საგნის (ქართული/ ინგლისური/ ისტორია/ მათემატიკა/ ფიზიკა/ ქიმია/ ბიოლოგია) სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;

შეუძლია სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით;

შეუძლია სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა;

შეუძლია სწავლისა და განვითარების თეორიების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის;

თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და ინდივიდუალური პროგრესის გათვალისწინებით, შეუძლია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, ამ მიზნით, შესაბამისი სტრატეგიის შერჩევა;

შეუძლია უსაფრთხო გარემოს შექმნა; შეუძლია კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა და კონფლიქტის მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენება მათ აღმოსაფხვრელად;

შეუძლია მოსწავლეთა კულტურული მრავალფეროვნების გამოყენება დადებითი სასწავლო გარემოს შესაქმნელად;

აქვს მოსწავლეთა საჭიროების განსაზღვრის და მასზე რეაგირების უნარი;

აქვს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარი.

დასკვნის უნარი:

საკუთარი პრაქტიკის კვლევის/ანალიზის/შეფასების საფუძველზე, შეუძლია ინდივიდუალური პროფესიული განვითარების დაგეგმვა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების სტრატეგიის ჩამოყალიბება;

შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნის გაკეთება.

კომუნიკაციის უნარი:

შეუძლია პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია კოლეგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან;

შეუძლია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია;

აქვს სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.

სწავლის უნარი:

აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროების გაცნობიერებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი;

შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

ღირებულებები:

იცნობს მასწავლებლის ეთიკის კოდექსს და მოქმედებს მის შესაბამისად;

ხელს უწყობს მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებასა და განვითარებას;

აქვს როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი.